საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/04/2026

MES 0 26 0000461871

გადაწყვეტილება

"სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 3 აპრილის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე - 4 პუნქტში, რეკომენდაციების ჩამონათვალი განისაზღვროს და შემდენაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით;
2. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel - ის გამოყენებით;
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" პრინციპების შესაბამისად.

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 3 აპრილის №458795 ოქმის №4 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან